ან. შილაკაძე

ფლიქსი

19 * ტფილისი * 36

ეროვნული ბიბლიოთეკის ეგვიპტე ჯდა

ან. შილაკაძე

ზეღიმხანი

34364

პოპულარული ნარკვევი

მეორე შესწორებული
გამოცემა

13 ● ახალგაზრ. ● 36
ტფილისი

ახალგაზრდობისათვის

მხატვარი: ს. გაბაშვილი

ზ ე ლ ი მ ხ ა ნ ი

ვინ იყო ზელიმხანი

ჯერ კიდევ 17—18 საუკუნეში კავკასიონის მთიელებში და, კერძოდ, ჩაჩნებში განვითარებული იყო გვაროვნული წესწყობილება. მხოლოდ აქა-იქ მკრთალად მოჩანდა ფეოდალიზაციის დაწყებითი პროცესი.

18 საუკუნის დასასრულს, საჩაჩნეთში მოხდა აჯანყება განმტკიცების გზაზე დამდგარ მთიელთა ფეოდალურ არისტოკრატიის წინააღმდეგ. უკანასკნელს გამოესარჩლა რუსეთის მონარქიული მთავრობა, რომლისთვისაც ხელსაყრელი იყო მთაში ფეოდალური არისტოკრატიის განმტკიცება. ამ უკანასკნელის დასახმარებლად გამოგზავნა ჯარი. ამნაირად, მეფის რუსეთის უშუალო მონაწილეობით თერგის გამოღმა მდებარე საჩაჩნეთის ნაწილში განმტკიცდა თავადფეოდალების წოდება.

პირველი იერიში კავკასიაზე მიიტანა რუსეთის მეფემ პეტრე დიდმა. შან 1727 წ. პირველად აიღო ბაქო.

„საქართველოს შეერთების" შემდეგ, მეფის რუსეთმა დაიწყო კავკასიის „დამორჩილება" და მისი კოლონიალური ათვისება. საჩაჩნეთიც, რა თქმა უნდა, შეერტანა თავის დამპყრობელურ გეგმაში. ჩაჩნებმა რუსეთის მეფის დამპყრობელურ პოლიტიკას უპასუხეს რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ კავკასიის ხალხთა მიერ დაწყებულ უდიდეს კოლონიალურ აჯანყებაში მონაწილეობით. ეს აჯანყება ცნობილია „ჰაზავატის" (საღმვთო ომის) სახელწოდებით, და იგი, როგორც ვიცით, გაგრძელდა მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ამავე საუკუნის სამოციან წლებამდის.

აჯანყება მიმართული იყო რუსეთის მიერ დამონებისა და მასთან დაკავშირებულ ფეოდალურ-ბატონყმურ ურთიერთობის წინააღმდეგ. იგი მიმდინარეობდა პატრიარქალურ-დემოკრატიულ თანასწორობის დამყარების ლოზუნგით.

60 წლებში რუსეთის ჯარებმა საბოლოოდ დაიმორჩილეს საჩაჩნეთი. ამ დროიდან საჩაჩნეთი შეიქნა რუსეთის იმპერიის კავკასიის კოლონიის ერთი ნაწილი. აქედან დაიწყო მთიელების დაუზოგავი კოლონიალური ძარცვა.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის თვითმპყრობელურმა მთავრობამ, თერგისა და ყუბანის ოლქებში, მთიელთა ნაცი-

ონალური მოძრაობის აღმოფხვრის მიზნით, ჩაასახლა რუსი ყაზახები, რომელთაც სახელმწიფოსაგან მინიჭებული ჰქონდათ ერთგვარი უპირატესობა.

საუკეთესო საყანე და სავენახე ადგილები ყაზახების ხელში გადავიდა. მთიელები იძულებული ხდებოდენ შეკედლებოდენ კლდოვან, ხრიოკ ადგილებს, სადაც სათესად გამოსადეგი ადგილები ძალიან ცოტა იყო და, რაც იყო, ისიც მოსახლეობის მეხუთედს თუ ეყოფოდა.

მაგრამ მთიელი მოსახლეობის გადასაშენებლად მეფის მთავრობა მარტო ამ ზომებით არ დაკმაყოფილებულა. მან ჩერქეზთა ტომის უდიდესი ნაწილი გადაასახლა ოსმალეთში. შემდეგ: ჩაჩნები, ოსები, ინგუშები, ყაბარდოელები. ჩაჩანთა ერთი ნაწილი — გმირული ყარაბულაკები — სრულებით ამოწყვიტეს. მათი მიწები კი ყაზახებს გადასცეს.

მეფის მთავრობა არ დაჯერდა ეკონომიურ შევიწროებას. მთელ ოლქის მმართველობაში შემოიღო სამხედრო-ყაზახური დიქტატურა. ადგილობრივი მოსახლეობა გამოცხადდა კანონს გარეშე. მათ ყაზახები უყურებდენ, როგორც თავის მტრებს. თუ ვინმე რაიმე სახით გამოხატავდა ხელისუფლებისადმი უკმაყოფილებას,—იჭერდენ, ხვრეტდენ, ასახლებდენ შორეულ ციმბირში.

ყაზახებმა ჯერ კიდევ კავკასიის დაპყრობამდის, უკრაინაში და ვოლგაზე ჩინებულად შეასრულეს მონარქიული მთავრობისაგან დაკისრებული მტაცებლური მისია. ხოლო, შემდეგ,—კავკასიის დაპყრობის საქმეში—ისინი წარმოადგენდენ თვითმპყრობელობის ერთერთ მთავარ დასაყრდენ ძალას. ყაზახობა მთავრობისაგან საკუთრებად ღებულობდა სულადობაზე (მამაკაცზე) რამდენიმე დესეტინა მიწას.

ამას გარდა, ყაზახებს ჰქონდათ ბევრი სხვა შეღავათიც.

ამნაირად მთიელების მდგომარეობა, თვითმპყრობელური რუსეთის არა მარტო აგრარულ-ეკონომიური, არამედ კულტურულ-პოლიტიკაც მათ გადაგვარებისაკენ იყო მიმართული.

მთიელებსა და, კერძოდ, ჩაჩნების ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საუკუნეებით განმტკიცებულს ადათსა და ზნე-ჩვეულებებს.

ჩაჩნების კანონმდებლობა შესდგებოდა ორი ელემენტისაგან: შარიათის და ადათის.

შარიათის კანონის მიხედვით, ქალმა მამაკაცს, შეხვედრის დროს, ზურგი უნდა შეაქციოს.

მუსულმანს დღეში ხუთჯერ უნდა ელოცა (ნამაზის შესრულება). ლოცვის წინ კარგად უნდა დაებანა ფეხები, ხელები, თავპირი, და სხვა-

დაღესტანის დამორჩილებამდის, შამილის დროს, მამაკაცები ჩალმებს ატარებდენ, ხოლო დედაკაცები—ჩადრს.

ადათის მიხედვით, ცხოველებიდან ძაღლი და ღორი უწმინდურებად ითვლებოდენ.

ქრისტიანის ხელით დაკლულ საქონელს და ფრინველის ხორცს მუსულმანები არ ჭამდენ, თვლიდენ მათ უწმინდურებად.

სხვადასხვა სადავო საქმეებს, როგორიცაა: ქორწინება, განქორწინება, მემკვიდრეობის, ანდერძისა და ობლების მზრუნველობის საკითხები,—არჩევდა საზოგადოებისაგან არჩეული საპატიო მოქალაქეებისაგან შემდგარი სახალხო სასამართლო შარიათის მიხედვით. დანარჩენ სამოქალაქო საქმეებს (სისხლის აღება, ქურდობა და სხვა) არჩევდენ ადათის მიხედვით.

საქმის გარჩევისას, სახალხო სასამართლო ხელმძღვანელობდა იმ საზოგადოების ადათებით, რომელსაც ესა თუ ის ბრალდებული ან მომჩივანი ეკუთვნოდა. ჩადენილ ბოროტმოქმედებისათვის სასჯელი (ჯარიმა სხვადასხვა საზოგადოებაში, ადათის მიხედვით, სხვადასხვანაირი იყო).

გასამართლება, ადათის მიხედვით, მეტად უბრალო წესით ხდებოდა. საქმის გასარჩევად მოსამართლეებად (მსაჯულებად) ირჩევდენ ერთს ან ორ უხუცესს სხვა თემიდან. უხუცესები მოისმენდენ მხარეებს და შემდეგ წარმოთქვამდენ განაჩენს.

შარიათმა განსაკუთრებული ძლიერება მოიპოვა შამილის დროს. მიურიდიზმმა დიდი გავლენა მოახდინა ადათსა და შარიათზე. მაგრამ თითონ მიურიდიზმი, შამილის დამარცხების შემდეგ, შესუსტდა და შარიათის მიერ გამომუშავებული ზნე-ჩვეულებები ახალი დამპყრობელი ძალის გავლენით თანდათან შეიბღალა.

ეს იწვევდა შეტაკებებს მთიელებსა და მთავრობის დამჭაშებს შორის. ბუნებით ამაყი, გაბედული, თავმოყვარე, „გმირულ ზღაპრებზე“ აღზრდილი მთიელი ხალხი სისხლიდან იცლებოდა თვითმპყრობელობის ჯალათებთან უთანასწორო ბრძოლაში.

მთიელი ხალხი ვერ შერიგებოდა იმ ზნე-ჩვეულებებს, რომელიც მათ ცხოვრებაში ყაზახებს და ოფიცრებს შეჰქონდა. მთიელებს არა ერთხელ მოუწყვიათ შეიარაღებული აჯანყება. მაგალითად: საჩაჩნეთში 1897 წ. ოსეთში 1902 წ. და 1905; ინგუშეთში 1906 წ. არა ერთხელ ყოფილა შემთხვევა, როცა ჩასაფრებულ მთიელებს რამდენიმე ყაზახი მოუკლავს. ცხადია, მთიელ პარტიზანებთან ბრძო-

ლაში გამარჯვება საბოლოოდ რუსეთის თვითმპყრობელურ მთავ-
რობას დარჩა, და მთიელ ხალხსაც იგივე ბედი ეწვია, რაც კავკასიის
სხვა პატარა ერებს.

1859 წელს, 25 აგვისტოს გენერალ ბარიატინსკის ტყვედ ჩა-
ბარდა გმირი შ ა მ ი ლ ი, რომელსაც რუსული ხიშტით ტანზე მიყე-
ნებული ჰქონდა 18 ჭრილობა. შამილის ტყვეობით დასრულდა ომი
მთიელებთან. მოისპო მთის დამოუკიდებლობა.

შამილის შემდეგ, თვალსაჩინო ფიგურას მთიელებში წარმო-
ადგენდა სახელოვანი გმირი—აბრეკი ზელიმხანი.

რა არის აბრეკი?

აბრეკი-ყაჩაღი რევოლუციონერია.
აბრეკობა გამოხატავდა მთელი ლარიბების პროტესტს რუსეთის იმ-
პერიალიზმის წინააღმდეგ.

აბრეკობა კავკასიაში წარმოადგენდა მთიელთა ეროვნულ გა-
მანთავისუფლებელ ომის გაგრძელებას. აბრეკობა წარმოიშვა მთიელ-
თა ყოფა-ცხოვრების ნიადაგზე.

იმპერიალისტურმა და შემდეგ სამოქალაქო ომმა ძირშივე ჩაკ-
ლა მთაში ჯერ კიდევ გაუმაგრებელი სავაჭრო კაპიტალის ყლორ-
ტები, მოსახლეობა დაუბრუნა ნატურალურ მეურნეობას და ამ
უკანასკნელმა კი საჩაჩნეთში გამოიწვია გვაროვნული წესწყობილე-
ბის გაძლიერება.

გვაროვნული საზოგადოების მთავარ ბირთვს წარმოადგენს
გვარი, კავშირი მოზრდილი ოჯახების, რომლებიც ერთმანეთს ენა-
თესავებიან, ცხოვრობენ განსაზღვრულ ტერიტორიაზე და საერთო
მეურნეობას ეწევიან.

გვარის დამახასიათებელი ნიშნებია: ურთიერთ დახმარება სა-
ერთო მეურნეობის საფუძველზე, სისხლის აღება და წინაპრის კულტი.

გვარის წევრთა ურთიერთ დამოკიდებულება წესრიგდება ჩვე-
ულებებით, რომელთაც იცავენ და სიცრულეში მოჰყავთ გვარის
უხუცესებს, უხუცესები შეადგენენ გვარის საბჭოს.

გვაროვნულ საზოგადოებაში, სადაც არსებობის უფლება და-
მოკიდებულია მუშახელის სიმრავლისა და სიძლიერისაგან, გამოიჭედა
გვაროვნული წესების მაგარი ბორკილები.

გვაროვნული ყოფა-ცხოვრება მკაცრი და დაუზოგავია მცირე-
რიცხოვან და ამიტომ სუსტ გვარებისადმი. ამ უკანასკნელებს, რომ
თავი გადაერჩინათ ფიზიკურ განადგურებისაგან, აუცილებლად უნდა

დაეწყარებიათ ეკონომიური დამოუკიდებლება უფრო ძლიერ გვარ-თან. ეს კი ყველაზე ადვილი მოსახერხებელი იყო რელიგიის შემწეობით. ასეთი საშუალება იყო მიურიდიზმი. მიურიდიზმის საფუძველს წარმოადგენდა ტარიკატი-ყორანის მეორე ნაწილი, სადაც მოთხრობილია მაჰმადის მოქმედება და საქციელი, რომელიც მისი მიმდევრობისთვის მისაბაძ მაგალითად უნდა გამხდარიყო.

მიურიდიზმის მიღებით ღარიბი, სუსტი გვარები ეკონომიურად უახლოვდებიან ძლიერ გვარს, ხდებიან მათი წევრი და, აშგვარად, აღწევენ მათ მფარველობას და დაცვას, თუმცა არა ყოველთვის საიმედოს.

მიურიდიზმი, ისე, როგორც შენიზმი, განვითარდა მთიელ ხალხთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ განწყობილების ნიადაგზე.

აბრეკობა იგივე მიურიდიზმია, მაგრამ მიურიდიზმი—ინდივიდუალური. აბრეკული მიურიდიზმი მოითხოვს აქტუალობას და მხოლოდ აქტუალობას. აბრეკები არიან აქტიურობისა და ბრძოლის მიურიდები.

პოლიტიკურ აბრეკობას საფუძველი ჩაუყარა შამილის მიურიდმა—ათაბაიმ, რომელიც, შამილის დატყვევების შემდეგ, პარტიზანი გახდა. ათაბაის შემდეგ ყველაზე გამოჩენილი აბრეკი ზელიმხარი იყო.

ზელიმხანს ახასიათებდა მთიელთა საუკეთესო თვისება, სახელდობრ: რკინისებური ნებისყოფა, შეუდრეკელი, მტკიცე ხასიათი, საარაკო შამაცობა და საოცარი სისწრაფე.

ვინ იყო ზელიმხანი? ზელიმხანი ჩამომავლობით ჩაჩანი იყო, სოფ. ხარაჩოდან (თერგის ოლქი).

ზელიმხანს ჰყავდა ძმები: უფროსი ხასი და უმცროსები: სალტამურადი და ბაილსუტანი, ზელიმხანი ცოლშვილიანი იყო. ცოლს ერქვა ბიცი, ჰყავდათ სამი ვაჟი: მაგომეტი, ომარ-ალი და ახმატი და ორი ქალი: მუსულმიტა და ენისტი.

ზელიმხანის ბაბუა, ბეხო, 101 წლის მოხუცი, ჩრდ. კავკასიაში რუსეთის შემოსვლიდან მთიელთა თავგადასავალის ცოცხალი მატიანე იყო. ის თავის მოგონებებს და შთაბეჭდილებებს, განსაკუთრებით შამილზე, უამბობდა თავის შვილებს, რომელთა შორის ზელიმხანი ყველაზე უფრო გატაცებით უსმენდა მოხუცს. ზელიმხანის არსებაში თანდათან ყალიბდებოდა და იქმნებოდა მომავალი რაინდი, და სულ ადრე ზელიმხანმა თავისი რაინდული მოქმედებით დაამტკიცა, რომ ის მიზნად ისახავდა ცარიზმის პოლიტიკით გამოწვეულ მთიელთა

ხალხის ტკივილების განკურნებას, და, მართლაც, „ზელიმხანოვშჩინა“ ეს იყო მთიელ ხალხის პროტესტი მეფის იმპერიალისტურ პოლიტიკის წინააღმდეგ. მაგრამ, სამწუხაროდ, ზელიმხანი ვერ ჩაწვდა და ვერ გაიგო სავსებით მთიელი ხალხის ტრაგედიის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მიზნები. ამიტომ მისი ბრძოლა მეფის წესწყობილების წინააღმდეგ ინდივიდუალურ ხასიათს ატარებდა. ამ მოძრაობას აკლდა ორგანიზებულობა, ჩაგრულ ხალხის, მასების დარაზმვა და მათი რევოლუციური გზით წაყვანა თვითმპყრობელური რეჟიმის დასანგრევად.

ეპიზოდები ზელიმხანის ცხოვრებიდან
უაჩალად გავარდნამდის

I

ზელიმხანის სოფელში მოკალათებული იყვნენ ყაზახები, თავისი ოფიცრებით, რომლებიც ხალხს ძალზე აწუხებდენ. ეს სამხედრო პირები ანუ „რუსების“ წარმომადგენელნი მუდმივ ლოთობასა, ბანქოს თამაშსა და, რაც მთავარია, მეძავ ქალებთან გარყვნილებაში ატარებდენ მთელ თავისუფალ დროს.

ეფის რუსეთის ზნედაცემულ წარმომადგენლების ზნეობა მთიულებში საღმრთო ადათების შელახვას იწვევდა.

ზელიმხანმა „სტუმრებს“ პატივისცემა შესაფერისად გადაუხადა: ოგიერთი ოფიცრის ქალი ტყეში გაიტაცა, სრულიად გააშიშვლა და უკან გამოუშვა. შურისძიებამ ვერ იმოქმედა ყაზახებზე, ისინი ისევ განაგრძობდენ თავისებურ ცხოვრებას და მთიელების შევიწროებას.

* *

— გი, შენ, ვაჭარო, შესდეგ!

ვადენელ ვაჭარ ნოსოვს შიშისაგან გააცივა, ნაცრისფერი დაედგა...

— ბოიტა ჩქარა ფული შაშხანა უნდა ვიყიდო...

— აი! ნუ მომკლავ! აი, რაც მაქვს... სულ... 70 მანეთი... მი-ერთვი... მხოლოდ გევედრები: ნუ მომკლავ და ნურც შვილს მომიკლავ! — ჯანკალებული ხმით ეუბნებოდა ვაჭარი ზელიმხანს, რომელსაც ტერტანკა შიგ შუბლში ჰქონდა დამიზნებული.

— შენ და შენს შვილს მაშინვე მოგკლავთ, თუ ვინიცობაა გაამხილეთ, რომ მე მნახეთ...

თავზარდაცემული ვაჭარი გზას გაუდგა. ზელიმხანი კი ჩამოჯდა მწვანეზე, ხის ძირას, და მწარე ფიქრს მიეცა. ის ვერ შერიგებოდა მთიელთა ადათების შებღალვას... მან გადაწყვიტა ბრძოლა თვითმპყრობელური მთავრობის წინააღმდეგ, ამიტომ წაართვა ფული ვაჭარ ნოსოვს და შეიძინა იარაღი.

2

ყრუთხელ ზელიმხანს შეხვდა მტირალი მეეტლე.

— რატომ სტირი, რა მოგივიდა?—შეეკითხა ზელიმხანი.

— გამცარცვეს, ჩემი ერთადერთი მარჩენალი ცხენი წამართვა ზელიმხანმა!,—მიუგო მეეტლემ.

— ზელიმხანი მე ვარ, შენისთანა ღარიბებს მე არ ვართმევ — მე მდიდრებს ვართმევ—ღარიბებს ვაძლევ—და მისცა 60 მანეთი ცხენის საყიდლად.

ზელიმხანი მასპინძელს და მის ოჯახს, სადაც კი ღამეს გაათევდა, განსაკუთრებული თავაზიანობით ეპყრობოდა; ამიტომ ზელიმხანს მცხოვრებლები ნდობით უყურებდენ და მისადმი პატივისცემა ხალხში თანდათან იზრდებოდა.

ბ

ხარაჩოს მთელი სოფლის სიამაყე—სილამაზით განთქმული ზეზიკი— ზელიმხანის ძმის სალტამურადის საცოლე იყო. მშობლები არ ითხოვებდენ ზეზიკს სალტამურადზე. ამიტომ მან მოიტაცა საცოლე და წაიყვანა თავის სახლში.

ეს ამბავი გაიგო ხარაჩოს მამასახლისმა და საქმეში ჩაერია: მთავრობამ გუშმაზუკოს ოჯახი აიძულა ზეზიკი დაებრუნებია უკან შობლებისათვის, რომელთაც სხვაზე უნდოდათ მისი გათხოვება.

შერცხვა ზელიმხანის გვარი, მოხდა უჩვეულო ამბავი. ძნელი იყო ასეთი „შეურაცხყოფის ატანა“.

— რას მიქვიან მთავრობა, რათ ერევა ის ჩვენს შინაურ საქმეში, განა ჩვენ ვერ გამოვასწორებდით ჩვენ საქმეს!—ეუბნებოდა ზელიმხანი თავის მეზობლებს.

„სირცხვილს, შეურაცხყოფას მოშორება უნდა... სისხლს აღება უნდა“—ფიქრობდა ზელიმხანი.

ზეზიკი ძალით მიათხოვეს მამასახლის შვილს შუგაიპს.

გუშმაზუკო (ზელიმხანის მამა), ზელიმხანი, მისი ბიძაშვილი ალიხანი და ამხანაგები, უშურმა და იზრაილი, შეიარაღდნენ, წავიდენ ზეზიკის წასართმევად. გზაში შუგაიპის ძმას სუგადს შეხვდენ. მოუვიდათ ჩხუბი, რომლის დროსაც სუგადმა ხანჯლით მოკლა ზელიმხანის ამხანაგი უშურმა და მიიმალა.

დაიღვარა პირველი სისხლი. „ზელიმხანოვშჩინის“ წარმოშობის საბაბი ფაქტად იქცა. ამით საბოლოოდ გადაწყდა ზელიმხანის ბედი: სისხლი უნდა აიღოს, ყაჩაღად უნდა წავიდეს!

ასეც მოხდა... ღამით მივიდენ ელსანებთან (ელსანების გვარის კაცს ჰყავდა წაყვანილი ზეზიკი). მოკლეს ერთი ელსანთაგანი, გათანასწორდენ სისხლის აღებაში.

ამ მკვლელობას მოჰყვა მთავრობის მხრივ რეპრესიები, ეკზეკუცია. ზელიმხანი ამხანაგებითურთ თავის ნებით გამოცხადდა უბნის უფროს ჩერნოვთან,—რომელსაც ორ-სამჯერ ყბაში სილა გაარტყა. გუშმაზუკო, ზელიმხანი და მისი ამხანაგები დაიჭირეს. ზელიმხანი ვერ შეაშინა ჩერნოვის მიერ მისჯილმა სარდაფმა—საპყრობილემ.

1901 წ. მაისში დაჭერილებს ციმბირში გასაგზავნად ამზადებდენ, 101 წლის ბეხო ცრემლებით ეევედრებოდა ჩერნოვს გაეთავისუფლებია მისი შვილი გუშმაზუკო და შვილისშვილი ზელიმხანი...

ჩერნოვისაგან სასტიკად შეურაცხყოფილი ბეხო („თხის წვერებიანო, ამ სიტყვით გამოაგდო გარეთ), იქვე გარდაიცვალა.

ზელიმხანს გული ბოლმით აევსო. შურისძიების სურვილმა შეიპყრო ზელიმხანი. ამის გამო, კიდევ უფრო ძნელი შეიქნა მისთვის პატიმრობა.

ტუსაღები ქ. გროზნოს ციხეში გადაიყვანეს. აქ გარდაიცვალა იზრაილი. დარჩენ: ზელიმხანის მამა, თვითონ ზელიმხანი და ალიხანი. ზელიმხანი მოთმინებას ჰკარგავს. ოჯახის და გვარის შეურაცხყოფა აღშფოთებს. ვერ ურიგდება მეფის შემავიწროებელ პოლიტიკას. გადაწყვიტა ციხიდან გაქცევა, ზეზიკის დაბრუნება და მოწინააღმდეგეთაგან რამდენიმე პირის მოკვლა. გადაწყვეტილება ზელიმხანმა სისრულეში მოიყვან: გროზნოს ციხის კედლებზე ხიხვით გადაიპარნენ ზელიმხანი, ზელიმხანის მამა და ალიხანი.

აქედან იწყება ზელიმხანის ყაჩაღობა, უკეთ რომ ვთქვათ, მისი ფირალობა (აბრეკობა).

ციხიდან გაქცევის შემდეგ, ზელიმხანმა გადაწყვიტა საბოლოოდ გაჭრილიყო ყაჩაღად, შური ეძია ხელისუფლებაზე, აღედგინა თავისი გვარის ავტორიტეტი და მტკიცედ დაეცვა მთის ადათები. შეისხა იარაღი, მოიმზადა წამალი, გამოემშვიდობა ცოლშვილს და გაუდგა გზას...

მშვიდობით ჩემო ცოლშვილო, მე გაუდეგ გზასა ძნელსა.
ნიკოლოზის დამქაშები ჩვენს რჯულს მასხრად აიგდებსა.
გული კაეშნით აივსო ძარღვში სისხლი მაგრად ჩქეფსა,
მაგათ სეირს შემოგასწრებთ, თქვენი თავი კარგად მყვესა.

ზელიმხანმა, პირველ ყოვლისა, მაქნეტინის მამასახლისის შვილს შუგაიპს წაართვა ზეზიკი და თავის ძმას, სალტამურადს მიჰგვარა. ხოლო თვით მამასახლის კი გზაში დახვდა, წაართვა თოფი, ცხენი და თან მიაძახა.

— თუ ვაჟკაცი ხარ, შესძელ თოფისა და ცხენის დაბრუნება, შე, ლაჩარო, შენა—და მკვირცხლად თავის გზას გაუდგა.

ვედენის მაზრის უფროსმა პოლკ. დობროლუბოვსკიმ ზელიმხანის წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღო.

მაგრამ ზელიმხანი ფარულად მიუხტა პოლკოვნიკს და მიუხედავად ძრავალი მცველისა, რომელიც გარს ერტყა ამ უკანასკნელს, დაემუქრა სიკვდილით და ფიცხლავ გაქრა. როდესაც შიშისაგან გარეტიანებული პოლკოვნიკი გონს მოვიდა, ზელიმხანი უკვე მიუვალ ადგილას იყო მისული და არხეინად გრძნობდა თავს.

ამ ამბის შესახებ მთელი ოლქი ალაპარაკდა.

თერგის ოლქის უფროსმა გააძლიერა ვედენის მაზრაში ჯარის ნაწილები, შემოიღო სოფლებში დღე და ღამე ყარაულობა, რომ ხელიმხანი „მახეში მოხვედროდა", მაგრამ სასტიკად მოსტყუვდა. ზელიმხანმა, პირიქით, გაახშირა თავდასხმები.

იმ დროს, ზელიმხანმა ორჯერ გაძარცვა ფოსტა და ფულიც საკმაოდ წაიღო, მაგრამ მისთვის ფოსტის გაძარცვის დროს ფულზე უფრო საინტერესო აღმოჩნდა ის პაკეტი, რომელიც ხელში ჩაუვარდა, და რომელიც უშუალოდ მას ეხებოდა.

ზელიმხანი ორი თავისი ამხანაგით დახვდა გზაში ფოსტას. ფოსტალიონი და ფოსტის მცველები ზელიმხანის დანახვაზე შეშინდენ და გაიქცენ. მოახსენეს უფროსს, რომ ზელიმხანს ბევრი ამხანაგი ახლდა, ვერაფს გავხდით და დაგვამარცხესო.

პოლკოვნიკი გაცხარდა. ხედავდა, რომ ვერას ხდებოდა ზელიმხანის წინააღმდეგ, ხოლო, ამავე დროს, სამსახური ავალებდა ლიკვიდაცია ეყო „ზელიმხანოვშჩინისათვის". რეპრესიები გააძლიერეს რამაც მოაახლოვა მაზრის უფროსის სიკვდილის დღეც.

სალტამურადიც—ზეზიკის ქმარი—იძულებული გახდა ყაჩაღად წასულიყო და თავის ძმის—ზელიმხანის რაზმს შეერთებოდა.

პოლკ. დობროლუბოვსკი გადიდებული მცველებით მიდის ვედენის გზით. აქ უნდა გამოესალმოს წუთისოფელს პოლკოვნიკი—თერგის ოლქის ჯალათი. ზელიმხანი ორი ამხანაგთ დახვდა გზაში, შეძახება და თოფის გასროლა ისე სწრაფად მოხდა, რომ პოლკოვნიკმა მოხედვაც ვერ მაოსწრო და ცხენიდან გადმოვარდა.

ოლქის უფროსის სიკვდილის ამბავი სასწრაფოდ მოედვა მთელი თერგის მხარეს. ახლა კი ხალხის თვალში ზელიმხანი გადაიქცა ნამდვილ საკვირველ, შეუდრეკელ და შეუპოვარ გმირად.

მთავრობა ეძებდა გამოსავალს შექმნილ მდგომარეობიდან. 1905 წელს ოქტომბერში გროზნის ხელისუფლებამ, შირვანის პოლკის პოლკოვნიკის პოპოვის მეთაურობით, ბაზარში მოაწყო ჩაჩანთა დარბევა, რომლის დროსაც მოჰკლეს 17 ჩაჩანი. ამან დიდად აღაშფოთა არა მარტო ზელიმხანი, არამედ მთელი საჩაჩნეთი. ინტელიგენტი ჩაჩნებიც კი მზად იყვნენ ყაჩაღად გავარდნილიყვნენ.

ზელიმხანიც ხომ ზელიმხანი არ იქნებოდა, რომ მთავრობისათვის სამაგიერო არ ეზღო!

2

ზელიმხანმა გროზნის ხელისუფლებას სამაგიერო გადაუხადა სისხლის აღებით.

იგი სადგურ კადიურთან ახლოს 17 ოქტომბერს კვირასაღამოს სამგზავრო მატარებელს დახვდა და გააჩერა: სინათლე ჩაქრა ყველგან, წყვდიადში დარჩენილი მგზავრები შიშმა შეიპყრო. ისედაც ბნელი ღამე მგზავრებს ჯოჯოხეთად ექცა.

„ზელიმხანი,—ზელიმხანი",—თითქოს ერთი ხმით, შიშისაგან განაბული ჩურჩულებდენ მგზავრები და თავზარდაცემულნი ერთიმეორეს ეფარებოდენ. ზელიმხანმა მგზავრებიდან გადმოიყვანა მთავრობის 17 მოხელე და იქვე მოკლა. ამით მან 17 ჩაჩნის სისხლი აიღო; შემდეგ საჩქაროდ მიიმალა.

1906 წელს ზელიმხანის ჯგუფში შედიოდა: თვით ზელიმხანი, მამა გუშმაზუკო, სალტამურადი და სალამბეკი.

1908 წელს 30 აგვისტოს ზელიმხანის ჯგუფი ვაჭარ ზაიცევის ტყვედ წაყვანის დროს, შეეტაკა მთავრობის ჯარს. მაშინ მოკლეს ზელიმხანის მამა—გუშმაზუკო, ძმა და სამი ამხანაგი.

ზელიმხანმა ზაიცევს გადაახდევინა პირველად 15.000 მანეთი, შემდეგ კი—18.000 მან.

3

ზელიმხანის მოღვაწეობა დაიწყო 1905 წ. რუსეთ-იაპონიის ომის დროიდან. 1905 წ. გამანთავისუფლებელმა მოძრაობამ მთამდისაც მოაღწია.

რევოლუციისაგან გამოფხიზლებული მთიელები სახალხო ყრილობებზე აყალიბებდენ გამათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებს, მსჯელობდენ სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი მმართველობის, მიწის და ყოფა-ცხოვრების საკითხებზე. აქა-იქ ყაზახებთანაც მოუხდათ იარაღით შეტაკება.

ამ დროს აჯანყებამ ფეხი მოიკიდა თვით ყაზახებშიაც. (მაგალითად, გეორგიევსკში აჯანყებულების მიმართ სროლაზე მათ უარი განაცხადეს).

თერგის ოლქის ჯარების უფროსმა ვერბიცკიმ, რომელიც ცნობილი იყო, როგორც 1905 წლ. რევოლუციის ჩამხრჩობი „გმირი", სასტიკ ზომებს მიმართავს ზელიმხანის შესაპყრობად. მან მოწოდება გამოუშვა მცხოვრებლებისადმი, სადაც ნათქვამი იყო შემდეგი:

„თერგის ოლქის უფროსის მიერ მე დანიშნული ვარ ოლქის ჯარების უფროსად და დავალებული მაქვს ძირბუდიანად მოვსპო ძარცვა-გლეჯა და ყაჩაღობა, რომელიც ასე გაძლიერდა უკანასკნელად ჩვენს მხარეში.

თქვენ, ინგუშებო და ჩაჩნებო, ამ მხარის მკვიდრო მცხოვრებნო, მოგმართავთ: თქვენ გმირული ჩამომავლობა გაქვთ, თქვენი გმირული სახელი მთელს ქვეყანაზეა ცნობილი. მაგრამ ბოლო დროს თქვენში გაჩდენ ისეთი პირები, რომელთაც თავის ცუდი მოქმედებით წაბილწეს თქვენი გმირული წარსული. მოვუწოდებ ყველა პატიოსან ხალხს შეკავშირებისაკენ, რათა განდეცნილ იქნეს თქვენი წრიდან ის პირები, რომლებიც ბოროტად სარგებლობენ თქვენი წმიდა სტუმართ-მოყვარეობით. მოგმართავთ თქვენ, ქურდებო და ყაჩაღებო, და გიცხადებთ, რომ მოახლოვდა აღსასრული თქვენი თარეშისა და არსებობისა, მე დაგიჭერთ და საჯაროდ ჩამოგახრჩობთ. ამიტომ გახსოვდესთ, არ ჩაუვარდეთ ჩემს რაზმს ხელში ცოცხლები, იბრძოლეთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის. ვინც ლაჩარი არ არის, ის მოკვდება იარაღით ხელში.

ახლა, ზელიმხან, შენ მოგმართავ. შენი სახელი ცნობილია მთელს რუსეთში, მაგრამ შენი დიდება შებღალულია, რადგან შენ ბრძოლის ველზე მიატოვე მომაკვდავი მამა და ძმა და ლაჩრულად გაიქეცი.

შენ მხდალი, ლაჩარი და მოღალატე ხარ. შენ ბევრი ხალხი ამოხოცე, მაგრამ მიპარვით, ჩუმად; შენ ლაჩარივით იმალები და გაურბიხარ მთავრობასთან შეხვედრას. დამინიშნე დრო, ადგილი და მითხარი სინდისერად: რამდენი ამხანაგი გებლება, და მეც იმდენი ჯარისკაცით მოვალ, რათა ერთმანეთს გმირულად შევეტაკოთ. გაძლევ რუსეთის ოფიცრის პატიოსან სიტყვას, წმინდად და უკლებლივ შევასრულო შენ მიერ წამოყენებული პირობები. თუ ამ აშკარა ბრძოლაში არ გამომყვი, სულერთია, მაინც დაგიჭერ, მოგაგნებ (თუ გინდ ოს-

მალეთში წახვიდე, სადაც შგონი წასვლასაც ფიქრობ) და მა-
შინ კი აღარ დაგინდობ. დაამტკიცე, ზელიმხან, რომ შენ მა-
მაკაცი ხარ, ბრწყინვალე ჩაჩნების შთამომავალი და არა დე-
დაკაცი. მომწერე პასუხი კავკავში".

ეს მოწოდება დაიბეჭდა რუსეთის სხვადასხვა გაზეთებში. მთელი რუსეთი გაფაციცებით თვალყურს ადევნებდა ვერბიცკის და ზელიმხანის მოსალოდნელ შეხვედრას.

ზელიმხანმა წაიკითხა თუ არა ეს მოწოდება—მაშინვე მისწერა, რომ „თანახმა ვარ, მაგრამ სხვები რად გინდა, მარტო მე და შენ შევხვდეთ ერთმანეთსო".

ვერბიცკი ზომების მიღებაზე ხელს მაინც არ იღებდა. მისი განკარგულებით 14 მარტს გუდერმესში ბაზრობის დროს ჯარმა ბაზარს აღყა შემოარტყა და ყველა ჩაჩნებს იარაღი აჰყარა,—რაიც სასტიკ შეურაცხყოფად ითვლებოდა მაჰმადიანებისათვის.

გაბრაზებულმა ზელიმხანმა გადაწყვიტა კავკავში ჩასულიყო, პირადად შეხვედროდა ვერბიცკის, და მოეკლა იგი. კავკავში ზელიმხანი დიდხანს უთვალთვალებდა ვერბიცკის, უცდიდა შესაფერ მომენტს, სრულიად მარტო შეხვედროდა მოწინააღმდეგეს, მაგრამ ვერ მოახერხა. შემდეგ გადაწყვიტა შევარდნოდა და მოეკლა.

ზელიმხანის ჩასვლას კავკავში მთავრობამ ყური მოჰკრა, შეკრეს ქალაქი. მეურმის ტანისამოსში გადაცმული ზელიმხანი კი ურემზე იჯდა და გროზნისაკენ არხეინად მიდიოდა.

ატამან ვერბიცკის ზელიმხანისა ძლიერ ეშინოდა. ცოტა ხნის შემდეგ იგი სულ წავიდა კავკავიდან. ვერბიცკის მოწოდება—მხოლოდ დიპლომატიური ოინი იყო. ხელისუფლებისაგან ის წინდაწინ მოელოდა ჯილდოს.

ზელიმხანს მუდამ ჰქონდა სანანებლად რომ ატამანი ცოცხალი წაუვიდა და ვერ მოკლა ის საჯაროდ.

ამ ამბების შემდეგ ატამანის თანაშემწე—ორბელიანის მიერ ზელიმხანის შესაპყრობლად მოეწყო რამდენიმე ექსპედიცია, მაგრამ უშედეგოდ.

4

1910 წელს, 3 იანვარს, დღის ორ საათზე, ზელიმხანი თავის რაზმით შეიჭრა გროზნოს სადგურში; რაზმელები მიცვივდენ სალაროსთან, მოკლეს მცველები, გაიტაცეს 18 ათასი მანეთი და სასწრაფოდ მიიმალენ. ზელიმხანმა შეუთვალა ვერბიცკის:

„ეს არაფერია, ყიზლიარში მოვდივარ, თუ ვაჟკაცი ხარ, იქ დამიხვდი, შე, ლაჩარო, დიაცო ატამანო"!

გროზნოში ფულის გატაცების შემდეგ, ზელიმხანმა გაყო თავისი რაზმი სამ ნაწილად. ერთ ნაწილს სალამბეკი მეთაურობდა, მეორეს—აუბი, ხოლო მესამეს—თვით ზელიმხანი. სამი გზით გაემგზავრა ყიზლიარისაკენ. იქ ისინი ერთმანეთს უნდა შეხვედროდენ ქალაქის მახლობლად ჭალაში.

9 აპრილს, დღის 12 საათზე, ფირალები—60 ჩამწკრივებული ცხენოსანი—სამსამ რიგად შევიდნენ ქალაქში. ზელიმხანს გაფრთხილებული ჰყავდა რაზმელები, რომ ყოველგვარ შეკითხვაზე (თუ ვინმე შეეკითხებოდათ რამეს გზაში), თითონ ზელიმხანი უპასუხებდა, თუ რაიმე საფრთხეს შეამჩნევდა, გასროლით ანიშნებდათ.

პოლკოვნიკის ტანისამოსში გამოწყობილი ზელიმხანი წინ მიუძღოდა რაზმს. სამხედრო პირები გზაში მას მხედრულ სალამს აძლევდენ. ზელიმხანის რაზმი ყველას ცხენოსანი ჯარისკაცები ეგონათ, პოლიციასაც კი არ შეპარვია იჭვი, რომ ზელიმხანი ასე უშიშრად დღის 12 საათზე გაბედავდა ქალაქში შეჭრას.

სრულ 12 საათზე 60 კაცმა ზელიმხანის მეთაურობით ხაზინას ალყა შემოარტყა; რაზმელები შეცვივდენ და შიგ ყველა იქ მყოფთ უმთ ვრესად კი მოლარეს, შესძახეს:

„ხელები მაღლა“!

ხალხი შიშის ზარმა შეიპყრო:

„ზელიმხანი, ზელიმხანი“,—გაიძახოდენ და ბევრი მათგანი ცდილობდა კუნჭულში მიმალულიყო.

მთელი ქალაქი ფეხზე დადგა: პოლიცია, ჯარი, ყველა შეიარაღდა. ზელიმხანის ბედი გადაწყვეტილი ეგონათ, თუმცა ლარიბები კი იმედობდენ, რომ ზელიმხანს ვერ დაიჭერენ, ფულს გაიტაცებს და დაგვირიგებსო.

ხაზინადარი შეეცადა სალაროს გასაღების ქუჩაში გადაგდებას ფანჯრიდან, მაგრამ ზელიმხანმა მაშინვე შეამჩნია და იქვე მოკლა. წაიღეს ორი ხურჯინი ფული. 60 მხედარი, როგორც ერთი კაცი, მარდად გაბრუნდა უკან. პოლიცია დაედევნა და ხიდზე, რომელიც გადიოდა მდინარეზე შუა ქალაქში, ატყდა საშინელი სროლა, დადგა ნამდვილი ჯოჯოხეთი, რომლის მოწამეც უნებლიედ მთელი ქალაქი შეიქნა. არავის არ ეგონა, თუ ამ თავდასხმიდან ზელიმხანი გადარჩებოდა, მაგრამ, მუქარის წერილების წერაში გაბედული პოლკოვნიკი ვებრიცკი, სინამდვილეში აღმოჩნდა მხდალი და სასტიკად დამარცხებული.

ზელიმხანის რაზმის წინააღმდეგ პოლიციამ ორას ჯარისკაცზე მეტი გამოიყვანა. ზელიმხანის რაზმი ხშირი სროლით უპასუხებდა.

თვალის დახამხამებაში მათ მოასწრეს ცხენებით წყალში გაცურვა და მიმალვა. ფირალების მხრივ არავინ მოუკლავთ და არც დაუჭრიათ, ხოლო პოლიციის მხრივ კი 19 მოკლული აღმოჩნდა და 7-იც დაჭრილი.

გამარჯვებულებს ნადავლი ცოტა აღმოაჩნდათ. ხაზინაში სულ 500 მანეთი ყოფილიყო, აქედანაც უფრო დიდი ნაწილი ღარიბებს დაურიგეს.

ყიზილიარის ამბის შემდეგ, ზელიმხანის საკითხი მთავრობისათვის კიდევ უფრო აქტიურ საკითხად გადაიქცა.

3

ზელიმხანის შეპყრობის საქმეში ჩაერია თვით კავკასიის მთავარმმართებელიც, რომელმაც, სხვათა შორის, გასცა განკარგულება, რომ გადაეწვათ და გაენადურებინათ ჩაჩანთა სოფლები. მთიელები იდგენ სასტიკი სასჯელის წინაშე.

ზელიმხანის შეპყრობა მიენდო გვარდიის ოფიცერს,—პოლკოვნიკ ანდრონიკაშვილს, რომელიც, როგორც სამხედრო პირი, „სამხედრო“ თვალსაზრისით მიუდგა „ოლქში ანარქიის ლიკვიდაციას“. ანდრონიკაშვილის აზრით, საჭირო იყო მთიულეთში სამივე მხრიდან ჯარის შეყვანა, რათა ზელიმხანისათვის გზა გადაეჭრათ და შიგ მოემწყვდიათ. ამისათვის მან გამოითხოვა მთავრობისაგან 4 ბატალიონი ცხენოსანი ჯარისკაცი, ყაზახები, არტილერია და სხვ. ერთი სიტყვით, ანდრონიკაშვილმა ზელიმხანის გამო მთიელებს ომი გამოუცხადა.

ანდრონიკაშვილი წინდაწინ იკვეხდა, რომ აუცილებლად ცოცხლად დაიჭერდა ზელიმხანს, მაგრამ, მისდა სამწუხაროდ ბედმა უმტყუნა და თვით გახდა მსხვერპლი.

„ჩემი წმინდა მოვალეობაა, თუ გინდ სიცოცხლეც შევწირო—გავანადგურო ეს უსინდისო, მხდალი ზელიმხანი, რომელიც მხოლოდ კლდეზე ამოფარებით თავს ესხმის ხალხს“—სწერდა ის თავის ამხანაგს ერთერთ წერილში.

ანდრონიკაშვილის მიერ მოწყობილი შეტევა ზელმხანის წინააღმდეგ დაიწყო 1910 წელს 25 სექტემბერს. კავკავიდან წავიდა ასეული—აპშერონის ათასეულისა; ასინის ხეობიდან—ასეული ცხენოსანი და ასეული ქვეითი ჯარისკაცი; გროზნიდან—მდინარე ფორტანგით გაიგზავნა 400 ჯარისკაცი; ტფილისიდან თიანეთზე გავლით—ერთი ბატალიონი გრენადერებისა, ხოლო თელავიდან კი მთელი ესკადრონი ე. წ. „დრაგუნის“ ნაწილები.

ანდრონიკაშვილის ჯარებით დაკავებულ იქნა ყველა ხიდები და სრმაგრე, რომლითაც ზელიმხანს შეეძლო ესარგებლა.

როცა ზელიმხანმა ყველაფერი ეს გაიგო—წერილი მისწერა ანდრონიკაშვილს:

„თავი დამანებე, რა შენი საქმეა ჩემი დაჭერა; დაღესტნის პოლკს რაში ეპიტნავება ჩემი შეპყრობა“ო.

ზელიმხანმა ცოლშვილი ტყეში გახიზნა. დაიწყო საერთო შეტევა ზელიმხანის წინააღმდეგ. ანდრონიკაშვილმა ჯერჯერობით მხოლოდ მიაგნო ზელიმხანის ცოლშვილს, რომელიც ხიშტებითა და ტყვია-მფრქვეველებით ალყაშემორტყმული მიიყვანეს ანდრონიკაშვილთან, იგი ემუქრებოდა მათ დახვრეტით, ჩამოხრჩობით.

ბავშვებმა ტირილი დაიწყეს. ქალები ბიცი და ზაზეკი მოლაპარაკებული იყვნენ, რომ არავითარ შემთხვევაში არ გაეცათ მამა—ზელიმხანი. ისინი გაბედულად უპასუხებდნენ:

„არ ვიცით, თუ შეგიძლიათ თქვენ შეიპყარით, ჩვენ რად გინდებვართ“ო.

ზელიმხანი საჩაჩნეთში იყო, როცა გაიგო ანდრონიკაშვილის მიერ მისი ცოლშვილის ტყვედ წაყვანის ამბავი. ერთ საღამოს ზელიმხანმა მიიხმო ინგუში გაბადიევი, რომელიც მსახურობდა ანდრონიკაშვილის რაზმში და უთხრა:

— მე ზელიმხანი ვარ, ხალხის საქმეების გამგებელი, მე აბრეკი (ფირალი) ვარ, შენ კი ოფიცერი გაბადიევი, მე ხალხს ვემსახურები, შენ კი მეფეს, მე ჩაჩანი ვარ—შენ კი ინგუში, მაგრამ ორივენი ხომ მაჰმადიანები, მთიელები ვართ. მე მინდა გავიგო ამიერიდან ვინა ხარ შენ—ოფიცერი თუ ინგუში?

— მე ინგუში ვარ, მთიელი, ზელიმხან, ხომ იცი მთიელებს ჩვენ არ ვდევნით!

— შენ არ სდევნი, სდევნის მეფე, რომელსაც შენ ასე ბრმად ემსახურები, და რომელიც მშრომელ ხალხს სისხლს წოვს. განა მეფე ხალხს არ სდევნის, არ ასახლებს იმისათვის, რომ გაბატონდეს ხალხზე, რომ განამტკიცოს თავის შეუზღუდველი თვითმპყრობელობა, თავისი ბატონობა?

— ანდრონიკაშვილის რაზმში რომ მე არ ვიყო, იგი უფრო მეტს ზიანს მოუტანდა მთიელებს. მე იქ ვარ, როგორც ინგუშეთის მძევალი.—მიუგო გაბადიევმა.

— მე ვიცი, გაბადიევ, რომ ანდრონიკაშვილმა დიდი ზიანი მიაყენა მთიელებს, მას ჩემ წინააღმდეგ ჰკავს ორიათასი ჯარისკაცი, მაგრამ გადაეცი თავადს, რომ მისი დღეები დათვლილია და

მალე წარდგება „ღვთის სამსჯავროს წინაშე“, ხოლო შენ კი, გაბადიევ დარჩი მთიელი, ინგუში და არა ოფიცერი — თორემ...

დიალოგი დასრულდა. ზელიმხანი და მისი რაზმელები სწრაფად მოახტენ ცხენებს და მიიმალენ.

მესამე დღეს გაბადიევმა ანდრონიკაშვილს გადასცა ზელიმხანის ნაამბობი.

6

— შენ ზელიმხანის ცოლი ხარ? ეკითხებოდა ზელიმხანის ცოლს დაკითხვაზე ანდრონიკაშვილი თარჯიმანის საშუალებით.

— დიახ.

— რამდენი წლისა ხარ?

— მე დავიბადე მაშინ, როცა ომი იყო ოსმალეთთან!

— როდის დაიწყო, ან როდის გათავდა ომი ოსმალეთთან?

— როცა დაიწყო — მაშინ სულ პატარა ვიყავი, ხოლო როცა დამთავრდა — ცოტა უფრო დიდი.

— რამდენი წლისა ხარ?

— არ მახსოვს.

მთელ ერთ საათს აწვალებდა ანდრონიკაშვილი ბიცის. — ბოლოს თარჯიმანს უთხრა.

— წადი, ისევ შენ მარტო ელაპარაკე.

თარჯიმანი კი ეუბნებოდა ზელიმხანის ცოლს რომ პოლკოვნიკი ამბობს, გაწამებ, დაგხვრეტ, მაგრამ შენ არ შეგეშინდეს, მას ამის უფლება არ აქვს, ყოჩაღად იყავი. იმავე დროს მოუბრუნდა პოლკოვნიკს და უთხრა.

— თქვენო ბრწყინვალებავ, — ეს ქალი ისევ თავისას ამბობს: „არ ვიცი“.

დედის სიმტკიცემ ბავშვებიც გაათამამა. ვერც მუქარამ ვერც დაყვავებამ ვერ შეაცდინა ბავშვები.

— არ ვიცი, სად არის მამა, — თქვა ერთმა.

— მამაჩემი ჩქარა გაგვათავისუფლებს, — თქვა მეორემ მტკიცედ.

ამან უფრო გააბრაზა პოლკოვნიკი და ტყვეები გადაგზავნეს ქალაქში.

ზელიმხანი ემზადება მტრებთან საბრძოლველად. მოახლოვდა ანდრონიკაშვილის მოკვლის დღეც. ზელიმხანს თავის ამხანაგებთან ცილობა ჰქონდა, თუ ვის უნდა მოეკლა პოლკოვნიკი ანდრონიკაშვილი, ვის ხვდებოდა წილად ეს „საღმრთო“ მოვალეობა. ცილობამით გათავდა, რომ ზელიმხანს ხვდა წილად ანდრონიკაშვილის მოკვლა.

ანდრონიკაშვილი თავისი რაზმით ფრთხილად მიდიოდა გზაზე, მიუახლოვდენ მდ. ასას—იქ ხიდია, იქ უნდა გადაწყდეს თავადის ბედი.

ხიდის ზევით, თითქმის მიუვალ და თვალუწვდენელ ადგილას, ჩასაფრებულა ზელიმხანი თავისი ოთხი ამხანაგით. ხიდის შუა ადგილას მოაწია მოწინავემ—უკან მოდის ყაზახი იუსიპოვი, შემდეგ პოლკოვნიკი, რომელსაც წინ და უკან ჯარისკაცები მოყვებიან, ზელიმხანის რაზმმა იცის—თუ ვინ ვის უნდა ესროლოს.

გავარდა თოფი და იმ წამსვე ცხენიდან გადმოვარდა მოწინავე, ამას დაუყოვნებლივ მეორე თოფის ხმაც მოყვა და ცხენიდან მკვდარი გადმოვარდა იუსიპოვი, გაისმა მესამე თოფის ხმა, თითქოს სამივე თოფის გასროლა ერთი და იმავე დროს მოხდა და სასიკვდილოდ დაჭრილი ანდრონიკაშვილი ცხენიდან გადმოვარდა.

ასეთი ბედი ეწვია მკვეხარა თავადს. ამ თავდასხმის დროს მოკლულ იქნა აგრეთვე რამოდენიმე ჯარისკაცი.

ზელიმხანი ზევიდან დაჰყურებდა, თუ როგორ გარბოდენ ჯარისკაცები.

ცნობა ანდრონიკაშვილის სიკვდილის შესახებ სასწრაფოდ მოეფინა მთელ რუსეთს. მეფის ნაცვალი ძლიერ დაღონდა, „მთის არწივს“ (ასე ეძახდენ ზელიმხანს ბოლო დროს) შეპყრობა შეუძლებელი შეიქნა. ზელიმხანის საკითხი საგანგებო განსაკუთრებულ საკითხად იქცა მთავარმმართველისათვის. ერთ დროს პოლკოვნიკი ვერბიცკი პასუხისგებაში მისცეს, რომ ვერ გამოიჩინა სისასტიკე ზელიმხანის წინააღმდეგ. შემდეგ თვით მთავარმმართებელი ჩაუდგა საქმეს სათავეში მაგრამ ვერას გახდა.

7

1911 წ. თებერვალში დონის როსტოვიდან კავკავში ჩამოვიდა ორი სტუდენტი ანარქისტთა პარტიის წევრები. მათ კავკავში მოსიარულე ინგუშებისა და ჩაჩნების დახმარებით მოახერხეს ზელიმხანის ნახვა. იმ ხანებში ზელიმხანი ალაგირში იმყოფებოდა. ზელიმხანი დიდხანს ვერ გაერკვა რისთვის უნდოდათ მისი ნახვა სტუდენტებს იქნებ ჯაშუშებიაო, გაიფიქრა მან ბოლოს,

— არა, ეს ის ხალხია, რომელიც არეულობას აწყობს—მიუგეს ზელიმხანს.

— მეფის წინააღმდეგ?

— დიახ, მეფის, მთავრობისა და ვაჭრების წინააღმდეგ

— მაშ, რუსეთშიაც მოიპოვებიან ისეთები, რომლებსაც არ უყვართ მეფე და მისი მთავრობა?

— რამდენიც გნებავს. თითქმის ყველა სტუდენტს ეზიზღება მეფე.

ზელიმხანი დიდხანს არ გამოსულა სტუმრებთან. დააგზავნა მზვერავები კავკავის გზასა და თერგის გასწვრივ, ხომ არ დამალულა სადმე ჯარიო?-

ჯარი არ აღმოჩნდა და ზელიმხანი შემოვიდა სოფელში. დიდხანს ათვალიერა მოსულები, რომლებიც ჩვეულებრივი ადამიანები აღმოჩნდენ. მთავრობის კაცები რომ ყოფილიყვნენ, ზელიმხანი მათ თავისებურ პასუხს გასცემდა.

მთარგმნელი მოუყვა ზელიმხანს:

— სტუდენტებს ბევრი რამ გაუგონიათ შენზე. შენ გიცნობს მთელი რუსეთი და გაოცებულია შენი მოქმედებით. ამბობენ: ეჰ, ზელიმხან, რომ მეფის მთავრობას მაგრად სცემო. ესენიც მტერი არიან მეფის მთავრობისა და ამბობენ ჩვენისთანები ბევრია რუსეთში. მეფე არა მარტო ჩეჩნების მტერია, არამედ ყველასი, ვისაც ბევრი ფული არა აქვს, ვისაც ფაბრიკა-ქარხნები არ გააჩნია. იგი მთელი მშრომელ ხალხის მტერია. მეფე გენერლებისა და ვაჭრების მხარეზეა. მათთვის ხელსაყრელია მშრომელი ხალხის გაჭირვებული ცხოვრება. ამიტომ მთელი მშრომელი ხალხი მოწადინებულია მოსპოს მეფე, გენერლები, ბოქაულები, ვაჭრები. მშრომელი ხალხს შეუმსუბუქდება ცხოვრება, როცა ესენი აღარ იქნებიან. ისინი რომ ქვეყანაზე არ იქნენ უნდა გავწყვიტოთ ისინი. როდესაც ყველას გავწყვეტთ, მაშინ ყველასათვის კარგი იქნება.

ზელიმხანი თანხმობის ნიშნად ჩუმად ჟქნევდა თავს. თითონაც ხომ ღარიბებს ხელს არ ახლებდა. იგი მხოლოდ მთავრობის კაცებს კლავდა.

ანარქისტებმა უჩვენეს ზელიმხანს როგორ უნდა ყუმბარის გასროლა. მათ მისცეს ბეჭედი და შავ-წითელი დროშა.

ბეჭედზე ეწერა „კავკასიის მთიელ ტერორისტ-ანარქისტთა ჯგუფი. ატამანი ზელიმხანი“.

ზელიმხანი და ანარქისტები დამეგობრებული გაშორდენ ერთმანეთს. ზელიმხანმა მხოლოდ ახლა იგრძნო კავშირი რუსის ხალხის მოძრაობასთან. მაგრამ დარჩა იმავე ზელიმხანად, რომლისთვისაც გაუგებარი იყო რევოლუციური მოძრაობის ორგანიზაციული ფორმები.

ანარქისტები კი, ცხადია, ასეთ ორგანიზაციას ზელიმხანს ვერ შეასწავლიდენ.

ზელიმხანმა თავისი სიმამაცით „სასწაულთმოქმედის“ სახელი შოიხვეჭა. ცრუმორწმუნე ხალხი ლაპარაკობდა, რომ ზელიმხანს ალლაჰი მფარველობს, მისი შეპყრობა შეუძლებელიაო.

პოლიტიკურ-ეკონომიურ მომენტების გარდა, ზელიმხანის რაზმის წევრებს ერთმანეთთან აკავშირებდა ის გარემოებაც, რომ ისინი, ზელიმხანთან ერთად, ეკუთვნოდნენ მორწმუნეთა ერთგვარ სექტას.

კავკასიის მთავარმმართველმა გადაწყვიტა ზელიმხანის წინააღმდეგ ბრძოლა რელიგიურ ნიადაგზე გადაეტანა. თუ აქამდის ამ ბრძოლაში მთავრობა იყენებდა ყაზახებს, რეგულარულ ჯარს, მოსისხლეთ ადგილობრივ ჯარის ნაწილებს: კავალერიას, არტილერიას, ქვეითა ჯარის ნაწილებს, სასამართლოს, დაჭერას, კატორღას, ციმბირს, ერთი სიტყვით, ყველა საშუალებას, რომელიც კი გააჩნდა — ახლა, სამაგიეროდ, ბრძოლის იარაღად სარწმუნოება გადაიქცა.

ქ. გროზნოში, მატარებელში ნამუსტნიკის თანაშემწის, გენ. შატილოვის ვაგონში, გაიმართა თათბირი, რომელსაც, გარდა შატილოვისა (რომელიც საგანგებოდ ჩავიდა ტფილისიდან ამ განსაკუთრებულ საკითხის გამო), დაესწრენ თერგის ოლქის უფროსი, პოლკოვნიკი მარღანია და სხვები.

თათბირზე გადაწყდა ბრძოლის ასპარეზი სარწმუნოებრივ ნიადაგზე გადაეტანათ. თათბირმა აღნიშნა ზელიმხანის შეპყრობის სიძნელის მიზეზები: ა) ზელიმხანს მფარველობას უწევს ადგილობრივი მოსახლეობა; ბ) მას ეხმარება მაჰმადიანთა სექტა „ზიკრი“, რომლის წევრებადაც უმთავრესად ირიცხება ზელიმხანის რაზმი; გ) შეიხები — ანუ წმინდანები (ძაჰმადიანთა მღვდლები, რომელთა შეხედულებით ზელიმხანს ალლაჰი მფარველობდა“), — თავისი გავლენით ზურგს უმაგრებენ ზელიმხანს და მტკიცე ნიადაგს ჰქმნიან მასაში ზელიმხანის ხანგრძლივი არსებობისათვის; დ) რამდენიმე სოფელი განსაკუთრებით მფარველობს ზელიმხანს; ამიტომ თათბირმა გადაწყვიტა: გაიგზავნოს საჩაჩნეთის ყველა სოფელში დამსჯელი რაზმები; ე) გადასახლებულ იქნეს ზვიდი შეიხი; ვ) აულებში (სოფლებში) დაინიშნონ მთავრობის მამასახლისები; ზ) დანგრეულ იქნეს სრულიად რამდენიმე სოფელი და მცხოვრებნი გადასახლებულ იქნენ სხვა სოფლებში; თ) ერთი თვის განმავლობაში ჯარის ნაწილების დახმარებით გროზნისა და ვედენის მაზრის მცხოვრებთ გადახდეს 100 ათასი მანეთი და დაურიგდეს დახმარების სახით ზელიმხანთან შტაკების დროს დახოცილ პირთა ოჯახებს; ი) აფეთქებულ იქნეს სოფ. ძველსუნჯანში რამდენიმე სახლი, სადაც თავს აფარებდა ზოგიერთი ყაჩაღი.

ამრიგად, ზელიმხანის წინააღმდეგ „განსაკუთრებული“ ზომები იქნა გამოყენებული.

ზელიმხანის დატყვევებული ცოლშვილი, როგორც მძევლები, მოათავსეს კავკავის ციხეში.

ზელიმხანმა თათბირის შინაარსი გაიგო. ის არ შეუშინდა ამ „განსაკუთრებულ ზომებს“, და თერგის ოლქის უფროსს მისწერა:

„შენ ცდილობ და აწყობ პირად ცხოვრებას, ხალხის კეთილდღეობა შენ არ გეპიტნავება, მე მშვიდობიანად ცხოვრება მინდოდა, შენ კი ჩემი ცოლშვილი ტყვედ წაიყვანე და აწამებ საპყრობილეში. ამიტომ შენ ქალიშვილს, რომელიც ეგზომ გარყვნილია, და რომელიც მოგზაურობს რენატზე მოჭიდავეებთან—ტყვედ წავიყვანო“-ო.

ოლქის უფროსი ძლიერ შეშინდა და ზელიმხანის ცოლშვილს უფრო რბილად დაუწყო მოპყრობა.

შეუდგენ სამხედრო თათბირის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანას. მთელი საჩაჩნეთი აფორიაქდა; რამდენიმე შეიხი დაიჭირეს და გადაასახლეს, ზოგს კი საჯაროდ გამოაცხადებინეს, რომ ზელიმხანის მოქმედება ეწინააღმდეგება შარიათს, რომ ზელიმხანის საქმიანობა სისულელეა და ღმერთი (ალლახი) დააჯილდოვებს იმას, ვინც ამ ავაზაკისაგან დაიხსნის ხალხს, რომელიც მისი მიზებით სისხლისაგან იცლება და ნადგურდება ეკონომიურად.

მთავრობამ მოახერხა ზელიმხანის მოწინააღმდეგე მაჰმადიანების ნაწილის ამხედრება. ამის შემდეგ, ზელიმხანის არსებობას ჩქარა უნდა მოღებოდა ბოლო, მაგრამ იგი კვლავ შეუდრეკლად განაგრძნობდა ბრძოლას მთავრობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლის პროცესში ზელიმხანმა, მართლაც, მოიხვეჭა „სასწაულთმოქმედის“ სახელი. მას, როგორც ვიცით, „მთის არწივს“ ეძახდენ, და მრავალი ლეგენდა ითხზებოდა მის შესახებ. ზელიმხანის სახელი მთელს რუსეთში პოპულარული გახდა.

აფხაზეთის თავადი პოლკოვნიკი მარღანია ვახმისტრ დოლიძესთან ერთად თავდადებით ცდილობდა ზელიმხანის შეპყრობას, ამით მათ სახელის მოხვეჭა უნდოდათ, მაგრამ რამდენჯერმე უმტყუნათ ბედმა.

1911 წელს მარღანიასა და დოლიძეს, რომელთაც ახლდათ 50-მდის დაღესტანელი, პირისპირ შეხვდა ზელიმხანი. ზელიმხანი დანახვისთანავე ჩვეულებრივ სწრაფად შემოტრიალდა და შესძახა, დაეყარათ თოფები და დაწოლილიყვნენ... მარღანიას რაზმმა, როგორც კი დააპირა სროლა, იმ წამსვე მეხის სისწრაფით გაისმა თოფის ხმა,

დოლიძე და რამდენიმე მისი თანამებრძოლი დაეცენ მიწაზე. ყველაფერი ეს ისე უცბად მოხდა, რომ მარლანიას რაზმმა თოფების გადმოღებაც კი ვერ მოასწრო.

საარაკო იყო ზელიმხანის სისწრაფე.

არაგვის სჯეროდა, თუ ზელიმხანი ამ შეტაკებიდან ცოცხალი გამოვიდოდა. რადგან შეუძლებელი ივო ცხენის გაყვანა, ზელიმხანმა მიატოვა ცხენი და ორი თოფიდან, რომელთაც მუდამ ატარებდა, ერთ-ერთი გადააგდო. გადააგდო აგრეთვე ჩანთა, რომელშიაც ჰქონდა ერთი წყვილი საცვალი, ბინოკლი, ელექტრონის ფანარი, ფოტოგრაფიული სურათები შამილისა და მისი მოწინააღმდეგის ხაჯი-მურატისა და ბეჭედი თავისი გვარის წარწერით, რომლითაც იგი ამოწმებდა ხოლმე თავის წერილებს. ჩანთაში აღმოჩნდა აგრეთვე მეორე ბეჭედი შემდეგი წარწერით: კავკასიის მთიელთა ანარქისტ-ტერორისტთა ჯგუფი—ატამანი ზელიმხანი."

ეს ბეჭედი და ორფეროვანი დროშა (წითელი და შავი) როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ ზელიმხანს გადასცეს ანარქისტებმა, რომელთანაც, ცხადია მას კავშირი ჰქონდა. იგი თავის თავს ანარქისტად თვლიდა.

მამისა და ძმის სიკვდილის შემდეგ ზელიმხანის ჯანმრთელობა ერთობ გაუარესდა. როცა მასთან მამა და ძმა იყო, ადვილად გადაჰქონდა ის „აუტანელი" პირობები, რომელშიაც უხდებოდა ყოფნა: შიმშილობა, წყურვილი, ხანგრძლივი მოუსვენრობა, უძილობა (როგორც ძლიერ ფრთხილ კაცს, ცოტა ეძინა). თოფი მუდამ ხელში ეჭირა—ჭამის დროსაც კი მარცხენა ხელში თოფი ეკავა, ის უმთავრესად შორს ტყეში—გამოქვაბულში თვეებით ცხოვრობდა. ყველა ესენი, ბუნებრივია, თანდათანობით და თითქოს შეუმჩნევლად ასუსტებდა ზელიმხანის მაგარ ორგანიზმს.

მთავრობამ ზელიმხანის დევნის დროს მთელი მხარე ააწიო ა, ბევრი სოფელი გადაწვა, ბევრი ოჯახი უსახლკაროდ დატოვა.

შენიშვნა: 1925 წ. აღერბეიჯანის სახელმწიფო არქივში ბაქოს ჟანდარმერიის სამმართველოს საქმეებში, აღმოჩენილ იქნა საბუთები ზელიმხანის შესახებ, რომლებიც ნათელს ფენს ზელიმხანის, როგორც რევოლუციონერის და პარტია „კავკაზისტიგლატი"-ს მეთაურის, პიროვნებას. ხსენებული პარტია ცდილობდა კავკასიაში შეიარაღებული აჯანყების გამოწვევას. საბუთებს შორის ყურადღებას იპყრობს მდიდარი მიწერმოწერა და დაწვრილებითი ინსტრუქციები ზელიმხანისა და მისი მომხრეების შეპყრობის შესახებ.

ამ მიწერმოწერიდან ირკვევა, რომ ზელიმხანის შეპყრობაში ხელისუფლება მოკლებული იყო ადგილობრივ მცხოვრებთა თანაგრძნობას. საბუთებიდან აგრეთვე ირკვევა, რომ ქანდარმერიის სამმართველო და კავკასიის მთავარმმართველი თავიანთ აგენტურისაგან დაჟინებით მოითხოვდენ ხელში ჩაეგდოთ პარტია „ისტიგლატ"-ის პროგრამა. ეს მოთხოვნილება, როგორც მიწერმოწერიდან ჩანს, უშედეგოდ დარჩენილა. საბუთები ამტკიცებენ, რომ მეფის მთავრობა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ზელიმხანს, როგორც რევოლუციონერს.

ზელიმხანის აღსასრული თითქოს მოახლოვდა. პოლკოვნიკი მარლანია და ოფიცერი კარიბოვი გულის ფანცქალით ელოდებოდენ იმ მომენტს, როცა დეპეშით აცნობდენ მთელს რუსეთს „უჩინარი და უხილავის" „მთის არწივის", „ჩაგრულთ ქომაგის" ზელიმხანის სიკვდილს, ან მის ცოცხლად შეპყრობის ამბავს.

პრესაში გახშირდა ცნობები ზელიმხანის შეპყრობის შესახებ, რომ, ვითომც, დადგა უკანასკნელი აღსასრული ზელიმხანის „ეპოპეიისა" და სხვ.

ამ ხმებს რამდენიმეთ თავისი გამართლება ჰქონდა.

1911 წ. 19 დეკემბერს გაზეთებში დაიბეჭდა ცნობები, რომ ზელიმხანი გამოქვაბულში მოემწყვდა. ეს ცნობა მართალი იყო. თერგის ოლქის სხვადასხვა ქალაქებიდან გაემგზავრენ ფოტოგრაფები სურათების გადასაღებად. გამოქვაბულს უამრავი ჯარი ერტყა გარს, როგორც კავალერია, ისე არტილერია, დაღესტანელები თუ ინგუშელები—ყველა დაესია ზელიმხანს, რომელიც ამ დროს გამოქვაბულში არხეინად იჯდა და გადმოყურებდა თავდამსხმელებს, რომელთა მისამართით თითქოს ამბობდა:

— თქვე ლაჩრებო, შიშრებო, თქვენა, ბარემ მოიყვანეთ ჩემს წინააღმდეგ რუსეთის მთელი ჯარი—სირცხვილი თქვენი!

ოლქის უფროსი კი იკვეხიდა:

— ზელიმხანი უკვე ჯიბეში მყავს!

სასწრაფოდ გამოიწვიეს მთებში მომქმედი არტილერია, რომელიც საღამოს 10 საათზე გარს შემოერტყა გამოქვაბულს და დილით ადრე უნდა დაეწყოთ ყუმბარების დაშენა. დილით ჯარების უფროსმა ზელიმხანს მწყემსი მიუგზავნა და ცოცხლად დანებების წინადადება მისცა, რადგან, სულერთია, ვერსად გაგვექცევიო. ზელიმხანმა უპასუხა:

— მე აქა ვარ, წადი და ამოიყვანე ჩემთან ჯარი, მხოლოდ არა რუსები, არამედ მუსულმანებიო!

დოლიძე და რამდენიმე მისი თანამებრძოლი დაეცენ მიწაზე. ყველაფერი ეს ისე უცბად მოხდა, რომ მარღანიას რაზმმა თოფების გადმოღებაც კი ვერ მოასწრო.

საარაკო იყო ზელიმხანის სისწრაფე.

არავის სჯეროდა, თუ ზელიმხანი ამ შეტაკებიდან ცოცხალი გამოვიდოდა. რადგან შეუძლებელი ივო ცხენის გაყვანა, ზელიმხანმა მიატოვა ცხენი და ორი თოფიდან, რომელთაც მუდამ ატარებდა, ერთ-ერთი გადააგდო. გადააგდო აგრეთვე ჩანთა, რომელშიაც ჰქონდა ერთი წყვილი საცვალი, ბინოკლი, ელექტრონის ფანარი, ფოტოგრაფიული სურათები შამილისა და მისი მოწინააღმდეგის ხაჯი-მურატისა და ბეჭედი თავისი გვარის წარწერით, რომლითაც იგი ამოწმებდა ხოლმე თავის წერილებს. ჩანთაში აღმოჩნდა აგრეთვე მეორე ბეჭედი შემდეგი წარწერით: კავკასიის მთიელთა ანარქისტ-ტერორისტთა ჯგუფი—ატამანი ზელიმხანი."

ეს ბეჭედი და ორფეროვანი დროშა (წითელი და შავი) როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ ზელიმხანს გადასცეს ანარქისტებმა, რომელთანაც, ცხადია მას კავშირი ჰქონდა. იგი თავის თავს ანარქისტად თვლიდა.

მამისა და ძმის სიკვდილის შემდეგ ზელიმხანის ჯანმრთელობა ერთობ გაუარესდა. როცა მასთან მამა და ძმა იყო, ადვილად გადაჰქონდა ის „აუტანელი" პირობები, რომელშიაც უხდებოდა ყოფნა: შიმშილობა, წყურვილი, ხანგრძლივი მოუსვენრობა, უძილობა (როგორც ძლიერ ფრთხილ კაცს, ცოტა ეძინა). თოფი მუდამ ხელში ეჭირა—ჭამის დროსაც კი მარცხენა ხელში თოფი ეკავა, ის უმთავრესად შორს ტყეში—გამოქვაბულში თვეებით ცხოვრობდა. ყველა ესენი, ბუნებრივია, თანდათანობით და თითქოს შეუმჩნევლად ასუსტებდა ზელიმხანის მაგარ ორგანიზმს.

მთავრობამ ზელიმხანის დევნის დროს მთელი მხარე ააწიო ჯ, ბევრი სოფელი გადაწვა, ბევრი ოჯახი უსახლკაროდ დატოვა.

შენიშვნა: 1925 წ. ადერბეიჯანის სახელმწიფო არქივში ბაქოს ჟანდარმერიის სამმართველოს საქმეებში, აღმოჩენილ იქნა საბუთები ზელიმხანის შესახებ, რომლებიც ნათელს ფენს ზელიმხანის, როგორც რევოლუციონერის და პარტია „კავკაზისტიგლატი"-ს მეთაურის, პიროვნებას. ხსენებული პარტია ცდილობდა კავკასიაში შეიარაღებული აჯანყების გამოწვევას. საბუთებს შორის ყურადღებას იპყრობს მდიდარი მიწერმოწერა და დაწვრილებითი ინსტრუქციები ზელიმხანისა და მისი მომხრეების შეპყრობის შესახებ.

ამ მიწერმოწერიდან ირკვევა, რომ ზელიმხანის შეპყრობაში ხელისუფლება მოკლებული იყო ადგილობრივ მცხოვრებთა თანაგრძნობას. საბუთებიდან აგრეთვე ირკვევა, რომ ჟანდარმერიის სამმართველო და კავკასიის მთავარმმართველი თავიანთ აგენტურისაგან დაჟინებით მოითხოვდენ ხელში ჩაეგდოთ პარტია „ისტიგლატ"-ის პროგრამა. ეს მოთხოვნილება, როგორც მიწერმოწერიდან ჩანს, უშედეგოდ დარჩენილა. საბუთები ამტკიცებენ, რომ მეფის მთავრობა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ზელიმხანს, როგორც რევოლუციონერს.

ზელიმხანის აღსასრული თითქოს მოახლოვდა. პოლკოვნიკი მარლანია და ოფიცერი კარიბოვი გულის ფანცქალით ელოდებოდენ იმ მომენტს, როცა დეპეშით აცნობდენ მთელს რუსეთს „უჩინარი და უხილავის" „მთის არწივის", „ჩაგრულთ ქომაგის" ზელიმხანის სიკვდილს, ან მის ცოცხლად შეპყრობის ამბავს.

პრესაში გახშირდა ცნობები ზელიმხანის შეპყრობის შესახებ, რომ, ვითომც, დადგა უკანასკნელი აღსასრული ზელიმხანის „ეპოპეიისა" და სხვ.

ამ ხმებს რამდენიმეთ თავისი გამართლება ჰქონდა.

1911 წ. 19 დეკემბერს გაზეთებში დაიბეჭდა ცნობები, რომ ზელიმხანი გამოქვაბულში მოემწყვდა. ეს ცნობა მართალი იყო. თერგის ოლქის სხვადასხვა ქალაქებიდან გაემგზავრენ ფოტოგრაფები სურათების გადასაღებად. გამოქვაბულს უამრავი ჯარი ერტყა გარს, როგორც კავალერია, ისე არტილერია, დაღესტანელები თუ ინგუშელები—ყველა დაესია ზელიმხანს, რომელიც ამ დროს გამოქვაბულში არხეინად იჯდა და გადმოყურებდა თავდამსხმელებს, რომელთა მისამართით თითქოს ამბობდა:

— თქვე ლაჩრებო, ნაბიჭვრებო, თქვენა, ბარემ მოიყვანეთ ჩემს წინააღმდეგ რუსეთის მთელი ჯარი—სირცხვილი თქვენი!

ოლქის უფროსი კი იკვეხიდა:

— ზელიმხანი უკვე ჯიბეში მყავსო!

სასწრაფოდ გამოიწვიეს მთებში მომქმედი არტილერია, რომელიც საღამოს 10 საათზე გარს შემოერტყა გამოქვაბულს და დილით ადრე უნდა დაეწყოთ ყუმბარების დაშენა. დილით ჯარების უფროსმა ზელიმხანს მწყემსი მიუგზავნა და ცოცხლად დანებების წინადადება მისცა, რადგან, სულერთია, ვერსად გაგვექცევიო. ზელიმხანმა უპასუხა:

— მე აქა ვარ, წადი და ამოიყვანე ჩემთან ჯარი, მხოლოდ არა რუსები, არამედ მუსულმანებიო!

ამის შემდეგ უფროსმა უბრძანა ყუმბარების დაშენა. შეიქმნა საშინელი სროლა. დაბნელდა. სროლის ხმა ქუხდა ირგვლივ. ადამიანს ეგონებოდა, აი, ეს არის უნდა გასკდეს დედამიწა და შიგ ჩაიტანოს აქაურობაო.

როდესაც არტილერიამ სროლა შეწყვიტა, ზელიმხანმა ოთხჯერ გაისროლა, რომლითაც ორი მოკლა და ორიც დაჭრა.

ამის შემდეგ ოლქის უფროსმა კვლავ მიუგზავნა კაცები:

— ჩაგვბარდი, სულერთია, მაინც ჩვენს ხელში ხარო!

ზელიმხანმა უპასუხა:

— ტყვილად ზეიმობ ჯალათო, ჩემი აქ შეპყრობა არავის შეუძლია. თუ გინდა რომ აქედან ცოცხალი წახვიდე, დეპეშით აცნობე, სადაც საჭიროა დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ყველა ისინი, ვინც ჩემი გულისთვის დაჭერილი, თუ გადასახლებული არიან, მათ შორის ჩემი ცოლიც. თუ ღამის ორ საათამდის პასუხი არ მოგიციათ—მაშინ მე მაინც გავიქცევი, თუგინდ მთელი რუსეთის ჯარი დამესიოსო.

მეორე დღეს თავადმა მარლანიამ წინდაწინ აცნობა ოლქის უფროსს დეპეშით ზელიმხანის შეპყრობის ამბავი, ტყვილად დააიმედა მთავრობა, ტყვილად ააღაპარაკა ქვეყანა. გაახარა ზელიმხანის მტრები, ააქვითინა და ცრემლები აღვრევინა „მთის არწივის“ ერთგულთ.

ზელიმხანი რიჟრაჟზე გაჭრა, ამდენი ჯარი დარჩა შერცხვენილი და ხახა მშრალი.

ზელიმხანის გამოქვაბულიდან წასვლის შესახებ სხვადასხვა ვერსია არსებობდა. ერთი ვერსიით: როცა გამოქვაბულს შეესიენ ჭიანჭველებივით, ზელიმხანიც შეერია შიგ, უჩინარად და გაიპარაო. მაგრამ სინამდვილესთან უფრო ახლოს უნდა იყოს მეორე ვერსია: რიჟრაჟზე, როცა ირგვლივ სროლა შეწყდა, უცბად გამოქვაბულიდან გამოვარდა კაცი—შეიარაღებული ჩაჩანი, თავზე ჩაბალახით და იარაღის ელარუნით. გაოცებულნი გუშაგნი მივიდნენ მასთან, შეიქმნა ხმაურობა, აურ-ზაური, ყვირილი, სროლა.

მაგრამ, აი, სანახაობა! გამოირკვა, რომ ასე უშიშრად გადმოვარდნილი კაცი ზელიმხანს ნაბდისაგან გაეკეთებია, შიგ სამოვარი და სხვა საჭლარუნებელი ჩაედვა და თავზე თავის ჩაბალახი ჩამოეხურა. როცა ჯარის უმრავლესობა მივარდა ზელიმხანს: ან უკეთ, სათამაშოს და სროლა დაუწყო, ამ დროს ზელიმხანი, მართლაც, გაიპარა და კვლავ მთებში „უჩინარი და უხილავი“ გახდა.

მთის შეუგნებელ მოსახლეობის ნაწილს შორის არსებობდა მავნე ჩვეულება, რომლის მიხედვით, მოკლულთა ნათესავები ვალდებული იყვნენ მკვლელისათვის სამაგიერო ეზღოთ (სისხლის აღება). წინააღმდეგ შემთხვევაში, ხალხი ვინც სისხლს არ აიღებდა, მასხარად იგდებდა, ლაჩრად სახავდა.

„უხილავი" ზელიმხანი ამ „სისხლის აღების" წყალობით „ხილული გახდა". „მთის არწივის" მზე უკვე ჩაესვენა. „ღარიბთა მეჭომ გის", „ანარქისტის" და მომავალ რევოლუციონერის ბედი უკვე გადაწყდა. დაავადმყოფებული ზელიმხანი თვითონაც გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას და ხშირად ამბობდა:

— ალბად, დიდხანს ვეღარ ვიცოცხლებ, ვეღარ მოვესწრები რევოლუციას, მოვკვდები მგლის ტყავში, ოსმალეთში წავალ, იქ სურათს გადავიღებ და ერთს ოლქის უფროსს გამოუგზავნი. თუ ვიცოცხლე, იქიდან დავბრუნდები. როცა რევოლუცია მოხდება, გავიძრობ მგლის ტყავს, მაშინ ვერავინ დამიჭერს, მე თვით დავიჭერ ოლქის უფროსს და ყველა ჯალათებსო.

ზელიმხანი ციმბირში ცოლშვილს წერილს სწერდა:

„თუ ძალიან გაგიჭირდათ, მაცნობეთ — ოსმალეთში წავალ, ჯარს წამოვიყვან და გავანადგურებ აქაურ მთავრობასაო".

ზელიმხანი პასუხს ღებულობდა;

„ჩვენ ვიტანჯებით, დაანებე თავი ფირალობას და გამოცხადდი მთავრობასთანო".

ზელიმხანმა ადვილად გაიგო, რომ ასეთ პასუხს მისი ცოლშვილი არ მოსწერდა, რომ ეს პასუხი დაწერილი იყო მთავრობის მიერ ზელიმხანის შესაშინებლად.

ზელიმხანის ცოლშვილი ციმბირიდან გროზნაში ჩამოიყვანეს, მახლობელ სოფელში მოათავსეს და რამდენიმე ყარაული დააყენეს თავზე. მთავრობა ფიქრობდა, რომ ზელიმხანი ცოლშვილს ინახულებდა და ამგვარად მახეში გაებმებოდა.

ზელიმხანის ბედი კი ბოიჩიკოვის გვარმა გადაწყვიტა. ამ გვარიდან, დობროვოლსკის მოკვლის დროს, ზელიმხანს შემოაკვდა რამოდენიმე კაცი. მიუხედავად იმისა, რომ შორეული ნათესაობა არსებობდა ზელიმხანის და ბოიშჩიკოვების გვარს შორის, სისხლის აღება მაინც აუცილებელი გახდა. ბოიშჩიკოვები ეძებდენ მოხერხებულ შემთხვევას. 1911 წლის 11 დეკემბრიდან ე. ი. მას შემდეგ, რაც ზელიმხანი გამოქვაბულიდან წავიდა, თითქოს შეწყდა ლაპარაკი აბრეკის შესახებ — მთავრობა კი ხმებს ავრცელებდა, რომ ბოლო მიეღო „ზელიმხანოვშჩინასო".

დაავადმყოფებული ზელიმხანი კი სოფლად ცხოვრობდა ორი წლის განმავლობაში და სისტემატურად აქიმობდა.

1913 წლის გაზაფხულზე ბოიჩიკოვ ის გვარმა გაიგო რომ ზელიმხანი მახლობლად არის, გადაწყვიტა მისი გაცემა. ამ მიზნით, ოლქის უფროსს მოთხოვეს ზელიმხანის გაცემაში 20 ათასი მანეთი. ოლქის უფროსმა კი შეაძლია 18 ათასი მანეთი, რადგან „8—ათასი მანეთი ხელმწიფემ მომცა ზელიმხანის შესაპყრობლად, 10 ათასი მანეთიც ჯარიმის, სახით—შეგროვილია მცხოვრებლებიდანო".

ბოიშჩიკოვები დათანხმდენ ოლქის უფროსის წინადადებას. ბოიშჩიკოვებმა ზელიმხანს შეუთვალეს:

„წამოდი ჩვენსკენ სოფ. გალაში, აქ რუსის ექიმი გიექიმებს, ვერავინ გაიგებს, ჩვენიანი ეგონებიო".

ზელიმხანი დათანხმდა. ახლა კი გადაწყდა მისი ბედი, მოახლოვდა მისი გმირობის დასასრული.

ავადმყოფი ზელიმხანი ბოიშჩიკოვების ქოხში წევს ტანზე გაუხდელი—სატინის შარვალი აცვია, ფეხ შიშველი, თოფი ჩვეულებრივ მუდამ ხელში ეკავა. თოფით ხელში ეძინა, თოფით ხელში საჭმელს სჭამდა.

1913 წელი 25 სექტემბერი... საღამოს 10 საათია, წვიმს... ზელიმხანი დაღონებულია და ნაღვლიანი მიწოლილა ლოგინზე, ოცნებობს... ცოლშვილი... სამშობლო... რევოლუცია... თავისუფლება...

ამ დროს ზევით სახურავზე ხმაურობა მოისმის. ზელიმხანმა ვაზნები მოიმზადა... უბედურება იგრძნო. გამოვარდა გარეთ. მეორე ქოხში შევარდნის დროს დაიჭრა ბეჭში. კვლავ გამოვარდა გარეთ და გაიქცა სიმინდის ჩალის ზვინისაკენ. იქ მიიმალა. უამრავი ჯარი, ოფიცერ კიბიროვის მეთაურობით ირგვლივ შემოერტყა. დილამდის უდარაჯებდენ და დრო გამოშვებით ისროდენ. ალიონზე კიბიროვმა უბრძანა ირგვლივ აეტეხათ სროლა.

ზელიმხანმა იგრძნო დასასრულის მოახლოება, ის მარტო არის. ამხანაგები მასთან არ არიან. დაიწყო ლოცვა, გალობა, უკანასკნელ წუთამდის გალობდა. გათენებისას მან დაინახა ბალახებში ჯარისკაცების ქუდები, ავადმყოფი, დაჭრილი, „მთის არწივი" რანაირად უნდა გაქცეულიყო, თორემ ის ჩვეული იყო თავის დაღწევას უარეს მდგომარეობიდანაც.

ჯარისკაცების დანახვაზე ზელიმხანი წამოდგა, თოფის სროლა არ შეეძლო, უკანასკნელად ორჯერ ბრაუნინგიდან გაისროლა—მოკ-

ლა ერთი ჯარისკაცი და ერთი ოფიცერი დაჭრა. ტყვია არ დაუცხ-ლებია, მეტის გასროლა აღარ შეეძლო.

„აბა ცოცხალი როგორ უნდა ჩავბარდე ჯალათებსო“, უკანას-კნელი ღონე მოიკრიბა და ერთი ტყვიაც შუბლში გაირტყა...

სოფ. გალში. მკვლელობის ადგილის გამოსაცნობათ, ჩაიყვანეს ზელიმხანის ცოლშვილი, შვილე ი ამბობდენ:

ზელიმხანის შეკვლული კაბინოვი

— ეს მამა არ არის, მამას წვერი არ ქონდა, მამას უფრო სუფთა ხელები ჰქონდა.

როცა ცოლშა იცნო, მაშინ შვილებმა ტირილი მორთეს. დედა უჯავრდებოდა, რომ გმირის ცოლშვილს ტირილი არ შეფერის, რადგან ზელიმხანის მიერ დახოცილთა ცოლშვილი დაგვცინებენო.

დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ, ცოლმა ოლქის უფროსიდან სახლში წასვენების ნებართვა მიიღო.

მიუხედავად იმისა, რომ მთავრობისაგან სასტიკად იყო აკრძალული,—ზელიმხანის გასვენებას მაინც დიდძალი ხალხი დაესწრო.

ასე დასრულდა „მთის არწივის“ ყაჩაღი ზელიმხანის განაწამები, მაგრამ გმირული სიცოცხლე.

ზელიმხანის მოქმედება იყო მთიელთა ხალხის პროტესტი მეფის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ, მაგრამ, სამწუხაროდ ზელიმხანი ვერ ჩაწვდა სავსებით მთიელთა ტრაგედიის სოციალურ-ეკონომიურ და პოლიტიკურ მიზეზებს და შეიქმნა მისი უნაყოფო მსხვერპლი.

მთიელ მშრომელთა მასამ, რომელიც მეფის რეჟიმისადმი მტრულად იყო განწყობილი, შარვანდედით შემოსა ზელიმხანი, შეიყვარა იგი როგორც სახალხო გმირი. რუსეთში, უმთავრესად კი კავკასიაში ზელიმხანზე შეითხზა ზღაპრები, მისი გმირობის საოცარი ამბები სწრაფად ვრცელდებოდა ხალხში.

ზელიმხანი მოკლეს 1913 წელს ენკენისთვის 25, დაბადებიდან 41 წლისა. მისმა სიკვდილმა ერთხელ კიდევ გამოიწვია მთიელებში ჭრილობის საშინელი ტკივილები: ალაპარაკდა მეფე, მთავრობა, სახელმწიფო სათათბირო, ინტელიგენცია, მთელი პრესა.

მთიელთა ჭრილობის მორჩენა მხოლოდ ოქტომბერმა შესძლო. ზელიმხანმა ვერ იცოცხლა ოქტომბრამდის რომ საკუთარი თვალით, ენახა, თუ როგორ გასრისა მშრომელმა ხალხმა და ძირ-ფესვიანად აღმოფხვრა რუსეთის თვითმპყრობელობა და დაამყარა პროლეტარიატის დიქტატურა.

რედაქტორი: ა. რეხვიაშვილი

კორექტორი
გამომშვები } ლ. ჯაფარიძე

ბეჭდავს გამომცემლობა „კრასნი ვოინ".

შეკვეთა № 1441. მთავლიტი № ა—2126. ტირაჟი № 10.000.

9560 1 8. 75 J.

947.9
Ж 631

А. Шилакадзе

Зелимхан

Госиздат Грузии
Тифлис 1936 г.